Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Мая 1899 года.

ᲐᲛᲒᲐᲕᲘ

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲣᲓᲐᲒᲜᲝᲡ

საკვირველ-მომქმედის მადლის ქვისა.

I

Უ VI საუკუნეში—როცა სპარსთა ძლიერება დიდია და ზარატუსტრის მოძღვრება გაბატონებული აზიაში—მცირე იყო და არა საკმაო საქართველოს ნიეთიერი ძალა ქრისტეს ჯვრის მძლავრ და გააფრებულ მტერთა ხშირის თავ-დასხმის საწინააღმდეგოდ, სამაგიეროდ ჩვენს ქვეყანას საკმაოდ მოეპოვებოდა ზნეობრივი ღონე, რომ მის შემწეობით მაშინაც და შემდეგაც დაეცვა თვისი სარწმუნოება იმ მტერთაგან. ეს ზნეობრივი ძალ-ღონე შესძინეს ჩვენს ქვეყანას ივერიის ახალმა მოციქულებმა—ათცამეტთა წმ. მამათა. ვახტანგის მეფობაში განხორციელებულ საკეთილო ღონისძიებათა შემდეგ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ნორჩ ეკკლესიის ბედისათვის ასურეთის ათცამეტთა მამათა მოსვლას ჩვენს ქვეყანაში. ასეა მიღებული მათი სახელწოდება, თორემ უფრო მართალი იქმნება, რომ უწოდებდეთ კაბადოკიელებად. თუმცა დრო მათის მოსვლისა სხვა-და-სხვას სხვა-და-სხვა ნაირად აქვთ განმარტებული [1]), და ზოგს სულ

---

[1]) გვიკვირს, რომ აქამდე ჩვენს მწერალთა შორის ჯერ კიდევ სხვა-და-სხვა აზრი არსებობს ათცამეტთა მამათა მოსვლის შესახებ საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ აგერ ნახევარი საუკუნეა მას უკან, რაც

საეკვოდაც მიაჩნია ეს ამბავი, მაგრამ ეგ ნამდვილი და უეჭველი გარემოება—გარნა ამ ჩვენს გულ-ცოცობით აღბეჭდილს დროში ყოვლად გაუგებარი გარემოება,—მოჰხდა ნებითა ზეციერის დედოფლისა—ივერიის მფარველისა—მე-VI საუკუნეში, როცა ახლად ნათელ-მოსილს სამეფოს მეტად ეპირველებოდა გულ-მოდგინე და გულ-უშიშარნი მცველნი ქრისტეანობისა; მეტად ეპირველებოდა იმიტომ, რომ ერთის მხრით ძლიერი იყო ქადაგება ცეცხლ-თაყვანის-მცემელ მოგვთა და მეორეს მხრით ვერაგი პოლიტიკა სპარსეთისა ყოველის ღონისძიებით სცდილობდა აღედგინა საქართველოში უკვე მიმქრალნი კერა-ბომონნი ზარატუსტრისა. აი სწორედ ამ დროს გაჩნდნენ საქართველოში კაბადოკიის წმ. მამანი და შეიმოსეს ღვაწლი კეთილ-მსახურებისა და ჩვენის ქვეყნის ხელ-მეორედ განმანათლებლებისა. ერთი მათ შორის, ღირსი მამა ჩვენი დავით, რომლის წმინდა ცხოვრების ერთი პატარა ამბავი გვინდა ჩვენ ვუამბოთ მკითხველებს, დაბინავდა გარესჯის უდაბნოში. კარჯა, რომელიც თავისის განმარტოებითა და მდუმარებით ღრმად აფიქრებს ადამიანს ბუნების სანახაობათა შესაგნებლად და რომელიც მოწიწებით სავსე მსჯელობას იწვევს მის შემოქმედის შესახებ, თვით ღვთის განგებით წინასწარვე იყო დანიშნული სულ სხვა, მაღალის ცხოვრებისათვის. და მართლაც, ურწყულსა და უნაყოფო, მწირს უდაბნოში აღმობრწყინდა საქართველოს ფაბიადა. გაიღვიძა გა-

---

აკადემიკოსმა ბროსემ ეს საყურადღებო საგანი დაწვრილებით გაარკვია. მან შეუთანხმა ერთმანეთს პირველ შეხედვით ვითომ სხვა-და-სხვა დრო მათის მოსვლისა და მტკიცედ განმარტა, რა საუკუნეშიაც მოვიდნენ ათცამეტნი მამანი. არ ვიცი, რა მიზეზია, რომ ეს გამოკვლევა ცნობილის ორიენტალისტისა უყურადღებოდ აქვსთ დატოვებული ჩვენს მწერლობას. (იხ. გაზ. „Кавказъ"-ი 1850 წ. №№ 24—25).

რემო მდებარე მკვდარმა მინდორმა! წმ. დავითისა და მოწაფეთა დაუცხრომლის ღვაწლით გამოკვეთილ იქმნა კლდეებში ქვაბნი და მღვიმენი [2]). არხიტექტონური მათი ფორმები ამტკიცებს, რომ ზოგი მათ შორის გამართულია ეკკლესიისამებრ, ხოლო ზოგს ის განსაკუთრებული დანიშნულება ჰქონია, რომ შიგ ბერ-მონოზნებს ეცხოვრათ. ხუროთ-მოძღვარი ლიპარდი ამბობს, რომ დიდ-ძალ შრომისა და ამაგს გარდა, „ხელოვანი ქვის მკვეთელი გამოჰკვეთავდა მღვიმეებს ამ კლდეებში 437 კუბიკურს საჟენს 22,140 დღეშიო“ [3]), ესე იგი თითქმის 62 წლის განმავლობაში.

ასე გაჩნდა თან-და-თან მთელი ქალაქი აუარებელის ქვაბ-მღვიმეებისა, გაშლილი მთის ფერდობზედ, რომელიც კიბესავით ამართულ სამ-ბაქნად განიყოფება. ყველა მღვიმესენაკისა და ეკკლესიის რაოდენობას დავით გარეჯის მიდამოთა შორის, რომელიც გამოქვაბულია ხელოვან განდეგილთა მიერ 5.000 მეტს აღრიცხვენ.

წმ. დავით გარესჯელმა დააარსა მღვიმე-გამოქვაბულებში, მონასტრები, დასდო წესი და რიგი პალესტინის მონასტრების მიხედვითა და ახლა მოინდომა თვისის დიდის ხნის სურვილის შესრულებაცა,—ნახვა დიდებულის ქვეყნიურის ქალაქის

---

[2]) წმ. დავითისავე დაარსებულიაო უდაბნო და ქვაბ-მღვიმენი ქერუტის მთებში, დმანისის ხეობაში, მაშავერის მდინარის ნაპირად. ვახუშტი, გეოგრ. აღწერა საქართველოსი, გვ. 150.

[3]) იხ. ხელნაწერი რვეული არქიმანდრიტის ტარასისა († 1874 წ.) სათაურით: „Краткія свѣдѣнія в Грузинскихъ монастыряхъ“. წიგნთსაცავი ქვაბთა-ხევის მონასტრისა № 46. ეს ცნობანი დაწერილია 1842 წ., 6 აგვისტოს ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდის კანტორის წევრისა და ტფილისის ფერის-ცვალების მონასტრის წინამძღვრის, სემენარიის რექტორისა და საქართველოს ეპარქიის მონასტრების ბლაღოჩინის არქიმანდრიტ ფლაბიანესათვის.

ierusalimisa და მოლოცვა მისთა სიწმინდეთა. თვის მიერ თავ-მოყრილი რიცხვ-მრავალი სიტყვიერი ცხოვარი ქრისტესი ჩააბარა თავის განუშორებელს თანამშრომელსა და წინამძღვრობაში თანაშემწეს მ. ლუკიანესს და ღირსსა მამასა დოდოს, ხოლო თვით რამდენისამე მოწაფითურთ გაუდგა გზას წმინდა ადგილთა თაყვანის-ცემად, იმ ადგილთა თაყვანის-ცემად, რომელიც ნაკურთხი იყო მაცხოვარის ღვთიურის ფერხითა და მისის ყოვლად-წმიდის დედისათა. ხანგრძლივისა და გაჭირვებით სავსე მგზავრობის შემდეგ იმ დროს ფრიად საშიშ ქვეყნებში, ღირსმა მამამ, ბოლოს, მიაღწია თავისს სურვილს. როცა მგზავრნი მივიდნენ იმ ადგილას, რომელსაც ეწოდებოდა „მწვერვალი მადლისა" და რომლიდამაც იხილვებოდა უდაბურისა თვისისა დიდებითა წმ. ქალაქი ღვთისა იერუსალიმი, უეცარმა შიშმა და ძრწოლამ შეიპყრა წმიდა მხცოვანი დავით და ღრმა გრძნობამ სიმდაბლისამ გამსჭვალა მისი წმინდა სული.—„ვითარ გავბედავ,—ამბობდა იგი, ცოდვილის ჩემის ფერხითა ვთელო ნავალი ღმერთ-კაცისა, ადგილნი, ნაკურთხნი მის უწმინდესის ღვთიურის ფერხითა?" ამაოდ ურჩევდნენ მოწაფენი განეგრძო სიარული იერუსალიმად.—„კმა არს ჩემდა ისიცა,—ამბობდა პასუხად მდაბალი აბიბოს, რომ ჩემის ცოდვილის თვალებით ღირსი ვიქმენ ხილვად წმიდა ადგილთა შორიდან მაინცა". მხოლოდ თვისნი მოწაფენი, როგორც ვითომ უფრო ღირსეულნი, გაჰგზავნა მან იერუსალიმს მის სიწმინდეთა მოსალოცად და დაავალა, გულ-მხურვალედ ელოცნათ თვისის ცოდვილის მამისათვისაც კაცთა ნათესავის მხსნელის საფლავზედა, თვითონ-კი შორიდან, რა უმზერდა უფლისა წმ. საფლავის ტაძარს, მოილოცა სიწმინდე იერუსალიმისა, მოილო სახსოვრად სამი ქვა წმ. ადგი-

ლისა, დაალტო ცხარეს ცრემლითა და დაბრუნდა უკან, დამშვიდებული გულით, რომ მოწყალე ღმერთმა ღირს მყო მიახლოვებად წმ. იერუსალიმისა და აღსრულებად ჩემის უკანასკნელის სამლვთო აღთქმისაო.

ყოველად სახიერმა ღმერთმა, იხილა-რა ასეთი სიმდაბლისმოყვარეობა მონისა თვისისა დავითისა, კეთილ ინება ეუწყებინა ხალხისათვის მისი სიწმინდე და სარწმუნოება. მან მიუვლინა ანგელოზი თვისი ილიას, იერუსალიმის პატრიარქსა და დაავალა, გამოეცხადე სიზმარში და აუწყე: საყვარელი მონა ჩემი დავით მოუახლოვდა იერუსალიმს, მიუხვნა მას მადლი მისი და წაიღო თან. ეხლავ გაჰგზავნე მსწრაფლ-მავალნი, რომ მოეწიონ, ქალაქს ახლოა ჯერ ისევ, ძველი ტანისამოსი აცვია და ხელში კალათა უჭირავს სამის ქვითა, გამოართვან ის ქვები, მხოლოდ ერთი დაუბრუნონ და უთხრან: ასე გიბრძანებს ღმერთი: სარწმუნოებითა შენითა წაგიღია შენ მადლი ქალაქისა ჩემისა იერუსალიმისა, გარნა მე მნებავს, რათა ორი წილი დაუბრუნო იერუსალიმს, რომ სრულიად არ წაერთვას მას მადლი, ხოლო ერთი წილი მოგიცია შენთვის შენის უდაბნოსათვის, წაიღე ეს ქვა, ვითარცა მადლი, შენს უდაბნოში სახსოვრად და საუწყებლად სარწმუნოებისა შენისა". პატრიარქს გამოელვიძა და დიდად გაუკვირდა ასეთი ნახვა სიზმრისა. დაუყოვნებლივ მოუწოდა მსწრაფლ-მავალთა, უამბო ყოველივე ნახული სიზმარში და უბრძანა, დაეწიეთ იმ წმ. მოხუცსაო. ისინი მალე დაეწივნენ ღირსსა მამასა დავითს და უამბეს ყოველივე, რაც ჰნახა სიზმარში და რაც მოისმინა ღვთის ანგელოზისაგან იერუსალიმის პატრიარქმა. თან დასძინეს, რომ პატრიარქი გთხოვთ, ნუ უარობთ და შემოდით ქალაქსა დავითისასაო. მთელი

იერუსალიმი-კი ამ დროს სულ იმის ლაპარაკში იყო, რომ აქ მოსულა დიდი და წმ. ღვაწლ-მოსილია. წმ. დავითი ჰმადლობდა უფალსა, რომ ღირსი შეიქმნა ღვთისა მადლისა, დაუბრუნა ორი ქვა პატრიარქის კაცებს, ხოლო სიმდაბლისა გამო თვისისა უარი სთქვა იერუსალიმის პატრიარქის თხოვნის ასრულებაზედ. ღირსმა დავითმა წამოიღო თან მხოლოდ ერთი პატარა ქვა [4]), გარნა მადლი ღვთისა დიდი და დაბრუნდა თავის უდაბნოში დიდად გასახარელად თვისთა ობლად დატოვებულ სულიერთა ძეთა. მადლის ქვა იგი წმ. ადგილისა დასდო დავითმა უდაბნოს ერთ-ერთს ეკლესიაში. ამ ქვისაგან, როგორც ამბობს აღწერა წმ. დავით გარესჯის ცხოვრებისა [5]), დღესაც იხილება საკვირველ-მოქმედებანი და სასწაულნი დიდ-დიდი: ვინც სარწმუნოებით ემთხვევა ამ ქვას, განიკურნება ყოველთა სნეულებათა და ტკივილთაგან.

ეს საკვირველ-მოქმედი ქვა, რომელმაც მიიზიდა დავით გარესჯის უდაბნოში აუარებელნი მლოცავნი, შემდეგ წმ. დავითის ნეტარის გარდაცვალებისა [6]), იდო მის საფლავზედ, რომელიც იმყოფებოდა მის მიერვე გამოქვაბულს მღვიმეში. მღვიმე იგი მე-IX საუკუნეში განაფართოვა თვისის ხელით

---

[4]) 69 მისხალს იწონს.

[5]) ცხოვრება ღირსისა დავით გარესჯელისა საკვირველ-მოქმედისა. **Полное жизнеописаніе св. груз. церк. М. Сабинина. Ч. I стр. 123—140; О празд., установ. прав. груз. церк. Д. Пурцеладзе. стр. 52—59;** საქართვ. სამოთხე, მ. საბინინისა, გვერდი 265—285 და ქართლის-ცხოვრება, ნაწ. I, გვ. 152—153.

[6]) საქართველოს ეკლესიამ შერიცხა იგი მშობელ ქვეყნის წმიდათა შორის და დააწესა დღესასწაული მისის ხსოვნისა დღესა მის მიცვალებისასა, მეშვიდე კვირიაკეს ხუთშაბათს შემდეგ აღდგომისა; ხოლო ხსოვნასა მისსა ათცამეტთა კაბადოკიელთა მამათა თანა ვდღესასწაულობთ 7 მაისს.

წმ. ილარიონმა, რომელმაც გააკეთა ლუსკუმაცა წმ. საკვირველ-მოქმედის დავითის ნაწილებისათვის. დღესაცაო, ამბობს აღმწერი მისის ცხოვრებისა, მრავალი განკურნება იხილვება მის საფლავისაგან იმ ქვის მადლით, რომელიც მან მოიტანა წმ. ადგილიდანაო [7]). აქ სამ-გზის ლოცვა, როგორ ჰმოწმობს „ქართლის ცხოვრება", უდრის ერთხელ იერუსალიმს წასვლას და იქაურ სიწმინდეთა მოლოცვასა [8]).

II

რამდენ ხანს იყო მადლის ქვა, წმიდა დავითის მიერ მოტანილი იერუსალიმიდან, მის საფლავზედ, როდის და ან ვინ დაჰმალა შემდეგ, არავინ არა იცოდა-რა. შემდეგი ამბავი ამ ქვისა, ფრიად საყურადღებო, ვპოვეთ ჩვენ ქვაბთა-ხევის მონასტრის წიგნთ-საცავში, მის ხელ-ნაწერთა შორის [9]). რადგან

---

[7]) მე-X საუკუნემდე ძველი აღწერა წმ. დავით გარესჯელის ცხოვრებისა დაკარგული ეგონათ, მაგრამ იგი აღმოჩენილ იქმნა უფრო ადრე, ვიდრე საქართველოს კათალიკოზმა არსენიმ შეადგინა ახალი აღწერა მისის ცხოვრებისა იმის მიხედვით, რაც ჯერ კიდევ ახსოვდა ხალხს წმ. დავითის შესახებ და რაც რამ მოკლე ცნობანი გადარჩენილიყო ხელ-ნაწერებში. ჩემს ხელ-ნაწერთა შორისაო, ამბობს პლ. იოსელიანი, არის ერთი აღწერა დავითის ცხოვრებისა, უფრო სრული, ვიდრე არსენის-მიერ შედგენილიო და დაწერილი უცნობის აექსონისაგანაო.

[8]) „ვინაიდგან სამ-გზის აქა (უდაბნოში) ლოცვა მიესწორების ერთ-გზის იერუსალიმსა მისვლასა". (ქართლის-ცხოვრ. ნაწ. I, გვ. 153).

[9]) ეს ხელ-ნაწერი დაწერილია ნაცრის-ფერ სქელ ქაღალდზედ და თარგმნილია ქართულიდან, როგორც აღნიშნულია ზედვე; აშიაზედ, მარცხენა მხრით, ასეთი მინაწერი აქვს: „ძიავ! მომიტევეთ, რომ დაგიგვიანეთ; ბატონი რძალი ბძანდებოდა აქ ⁂ ბატონიშვილი ⁂ იმიტომ ვერ მოვიცალეთქვენი იაკინთე". ვის დაუწერია ეს ხელ-ნაწერი პირველად ქართულს ენაზედ, საიდან გადუწერია ანუ გადუთარგმნია რუსულად, არა სჩანს. ზემოხსენებული იაკინთე შვილია ანჩის-ხატის დეკანოზის დიმიტრი ალექსი-მესხიშვილისა; ხოლო ძია, რომელიც მოხსენებულია მინაწერში,

დიდი ინტერესი აქვს ამ ამბავს, აქვე მოგვყავს სიტყვა-სიტყვით. „თუმცა დიდად სასურველი იყოვო, ამბობს ავქსენი ამ ძველის ხელ-ნაწერისა, გაგვეგო, სად იყო ეს ქვა იერუსალიმიდან მოტანის შემდეგ, მაგრამ ეს არავინ არ იცოდა 1811 წლამდე. ამ წელს-კი დავით გარესჯის წინამძღვრად ნამყოფმა არქიმანდრიტმა ილარიონმა (გვარით თავად ბებურიშვილთაგანმა [10]), მოისურვა განახლება ფერის-ცვალების ეკლესიისა, რომელიც გამოქვაბულია ამ მონასტერში და რომელშიაც განისვენებენ ნაწილნი ღირსისა დავით გარესჯელისა. განახლების დროს საჭიროდ იქმნა ცნობილი ორის სვეტის გაუქმება. ერთი მათგანი იყო კანკელის კარებს ახლო, აღმოსავლეთის მხრით, ხოლო მეორე აგურითა და კირით მიშენებულს ახლოს. ეს მიშენებული შიგ ეკლესიაში იმყოფებოდა სამხრეთისკენ. როცა დაანგრიეს პირველი სვეტი (კანკელის კარებთან), შიგ აღმოჩნდა კედელი საკმაოდ ვრცელის ნიშითა, გალესილი გაჯით. ნიშში სჩანდა მხატვრობა, რომელიც წარმოადგენდა წმ. დავითს და ღირსსა დოდოსა, რომელნიც ერთმანეთს ეამბორებოდნენ ხელზედა და სალამს უძღვნიდნენ ურთიერთსა სიხარულით, ვითა დიდის ხნის უნახავნი და

არის არქიმანდრიტი ტარასი, პირველი წინამძღვარი ქვაბთა-ხევის მონასტრისა მის განახლების შემდეგ და ძმა ანჩისხატის დეკანოზის დიმიტრი ალექსი-მესხიშვილისა. ამ წერილის დაბეჭდვის შემდეგ, არქიმანდრიტ ტარასის ქართველთ მონასტრების მოკლე აღწერილობაში, რომელიც იბეჭდებოდა „საქ. სასულ. მახარებლის“ ფურცლებზედ, ჩვენ ვპოვეთ ეს შესანიშნავი ნაწერიცა დავით-გარესჯის საკვირველ-მომქმედ ქვის შესახებ. საქ. სასულ. მახარებ. 1864 წ. გვ. 40—42.

[10]) არქიმანდრიტი ტარასიც ამოწმობს, რომ დავით-გარესჯის უდაბნოს წინამძღვრად ნამყოფი ილარიონ იყო თავად ვაჩნაძეთა გვარისაო. იხ. Крат. свѣд. о груз. мон. გვ. 13.

ახლა ერთმანეთის ნახვით გახარებულნი. მხატვრობას ასეთი წარწერა ჰქონდა: „ხატი წმ. დავითის მოსვლისა იერუსალიმით“. ხოლო როცა საჭირო შეიქმნა ამ კედლის დაქცევაცა მხატვრობითურთ, შიგ გამოჩნდა ერთი კედელი კიდევ სხვა პატარა ნიშითა, აგრედვე გალესილი გაჯითა. ამ ნიშში იპოვნეს წმ. ქვა; ეტყობოდა რომ მის წინ ნთებულიყო წმ. სანთელი და სჩანდა დროს განმავლობაში ფერ-შეცვლილი მკრთალი ნაღვენთი სანთლისა. ეს ქვა სიდიდით ბატის კვერცხზედ ცოტა ნაკლებია, იმასავით მოგრძო შეხედულება აქვს და რგვლად მოყვანილი ბოლო. ბოლოზედ ეტყობა ლაქა, რომელსაც მუქის სისხლის (დიდის ხნის მიმხმრის) ფერი აქვს; თვითონ ქვა მოთეთრო და მოწითანო ფერისაა. ამ ქვას აქვს საკვირველ-მომქმედი ძალა, რომელიც კეთილად ჰმოქმედობს ყველაზედ, ვინც-კი სარწმუნოებით შეეხება მას. წმ. უდაბნოს ძმათა, მზგავსად ღირსთა მამათა, რომელთაც დაეკრძალათ წმ. ქვა აღწერილს ადგილსა, დაკრძალეს იმავე ეკკლესიაში ახლა სხვა ადგილს, რომელიც იცოდა მათ შორის მხოლოდ რამდენმამე უხუცესთაგანმა. „გარნა წმ. დავითის ღღესასწაულსაო, ამბობს არქიმანდრიტი ტარასი შესავსებლად ამ ამბისა, გამოიღებენ ხოლმე ქვას დამალულ ადგილიდან თაყვანის-საცემლად და მერმე ისევ დაჰმალავენ ხოლმეო [11]).

III

არა ნაკლებ საინტერესოა და საგულისხმო შემდეგი ბედი ამ ქვისა. 1857 წელს დაესხნენ თავს უმწეო დავით-გარესჯის უდაბნოს ლეკნი,—ეს უუბოროტესნი მტერნი სა-

---

[11]) Крат. свѣд. о груз. мон. არხიმანდრიტ ტარასისა გვ. 14.

ქართველოს მართლ-მადიდებელის ეკლესიისა, —გაძარცვეს, ააოხრეს, დაანგრიეს ლუსკუმა წმ. საკვირველ-მოქმედის დავითისა, წაიღეს სამღვთო ჭურჭელი, ძვირფასნი ხატნი და საკვირველ-მოქმედი ქვა, რომელიც იმყოფებოდა პატარა კოლოფში ტრაპეზ ქვეშა და ყოველ ამასთან ერთად ტყვედ წაიყვანეს მღვდელ-მონაზონი მიტროფანე (დეკანოზად ნამყოფი მ. ნაცვლიშვილი) და სამი მორჩილი. დაბრუნდნენ შინა, გაიყვეს ნაძარცვი დავლა ერთმანეთს შორის, ხოლო მადლის ქვა, რომლის მნიშვნელობა და ფასი არ ესმოდათ, ერთ-ერთ სახლის ჭერში შეინახეს. ზემოხსენებული მღვდელ-მონაზონი მიტროფანე თვალ-ყურს ადევნებდა ყოველსავე ამას და დაიხსომა ადგილი, საცა წმ. ქვა შეინახეს.

ერთის წლის შემდეგ მღვდელ-მონაზონი მიტროფანე განთავისუფლებულ იქმნა ტყვეობისაგან გამოსყიდვითა და წმ. დავითის მეოხებით. შინ წამოსვლისას, ლეკთა შეუმჩნევლად, ჩამოიღო ის დამალული მადლის ქვაცა, მოიტანა საქართველოში და მოწიწებით გარდასცა იოანე ჯორჯაძეს, წინამძღვარს დავით გარეჯის უდაბნოსას, საცა დღემდე ქვა იგი დიდის სიფრთხილით ინახება.

1878 წელს ერთი თათარი-მწყემსი ჩუმად მიუახლოვდა იმ მღვიმეს, რომელშიაც გამოწანწკარებდა წყარო. ეს წყარო დიდის ლოცვითა და მარხულობით გამოსთხოვა უფალს ღირსმა მამა დავითმა, რისთვისაც ეწოდა პოეტური სახელი ცრემლი დავითისა. მაგრამ, რაკი ამ წყაროს ურჯულოს ხელი შეეხო, დაშრა. მეტად შესწუხდნენ ყველანი, რომ უწყლოსა და უდაბურს ადგილს უწყაროოდ დარჩნენ, რომელიც ერთად-ერთი ნუგეში იყო ყარაიაზის მინდვრების სიცხე-პაპარექებაში.

წინამძღვარმა მამა სოფრონიმ (აბელიშვილმა) დაუყოვნებლივ მოუწოდა მონასტრის ძმათა ამ ამბის გამო, შეიმოსნენ ყველანი, აიღეს მიდლის ქვა და გაემართნენ იქ, საცა წყარო გამოდიოდა. აქ გადიხადეს პარაკლისი ღირსისა მამისა დავითისათვის. როცა გათავეს საპარაკლისო გალობა, გაჰბანეს მიდლის ქვა წყალითა და ამ ნაბანის წყალით იაზმა ასხურეს მღვიმეში იმ ადგილას, საიდანაც წყარო გამოდიოდა.- და აი, ჯერ სხურება არ გათავებულიყო, რომ საყოველთაო სასიხარულოდ მწარედ დაღონებულ მამათა, კვლავ დაიწყო ჩუხჩუხი წყარომ, რომელიც დღესაც გადმოჩახჩახებს კლდიდანა.

ასეთივე ამბავი მოჰხდა 1886 წელსა, $^{3}/_{4}$ თებერვალს. მწყემსმა თათრებმა გადაიარეს თავიანთის საქონლით კლდოვანი ქედი, რომელშიაც გამოქვაბულია ტაძარი იოანე ღვთისმეტყველისა და შევიდნენ იმ მღვიმეში, საცა იყო წყარო — დავითის ტრემდი. აქ თათრებმა შუადღის ლოცვა ილოცეს და ყორანით დაწესებული ნამაზი შეასრულეს. ამ ურიგო წესის შესრულების შემდეგ წყარო კვლავ სრულიად დაშრა. გაიგეს თუ არა ეს ამბავი მღვდელ-მონაზნებმა: სვიმონ (წულუკიძემ), იოსტოსმა და სტეფანემ, მოწიწებით მოიტანეს ქვა და გარდიხადეს წყაროს წინ პარაკლისი. პარაკლისის გათავების შემდეგ ასხურეს იაზმა ჯვარედინად და წყარომ კვლავ დაიწყო წკანწკარი [12]).

„ბევრს რასმეს გვასწავებს ეს უბრალო ქვა, წინდი არაჩვეულებრივის სიმდაბლისა“, ამბობს ცნობილი მომლოცველი

---

[12]) დაწერილია ეს ამბავი ისე, როგორც გვიამბო ანჩისხატის ტაძრის წინამძღვარმა მღვდელმა მ. პოლიევქტო კარბელაშვილმა, რომელიც თვით თვალით მნახველი ყოფილა ამ სასწაულ-მოქმედებისა.

წმ. ადგილთა ა. ნ. მურავიოვი[13]). მართლაცა და ასეთი გარეგნობით უბრალო ქვა, დავსძენთ ჩვენ ჩვენის მხრით, ღვთის სათნო მყოფელის ხელში, მის წმ. ნებისამებრ, ითვისებს საკვირველ-მოქმედების ძალას და იმკვიდრებს სიწმინდის მნიშვნელობას მომავალთა საუკუნეთა და თაობათათვის!

ოი, ყოვლად ნეტარო მამაო დავით დიდებულო, დაგვფარე საფარველი წმიდათა ლოცვათა შენთა დასაცველად ჩვენდა მრავალგვართა სულიერთა და ხორციელთა ბოროტებისაგან. მამაო, შვენებაო ივერიისაო, მოგვხედენ გულ-კეთილობით ჩვენ, შენის წმიდა და პატიოსანის ლუსკუმისა და ნაწილთა მიმართ მომდინარეთა, ვითარცა მამამ, ყოვლად კეთილმა, მიავლინე ლოცვა ჩვენი მეუფისა ქრისტესა საყდარსა და ითხოვე მისგან მეოხებითა შენითა შენდობა ჩვენ მიერ ქმნილთა ცოდვათათვის, ნებსითა და უნებლიეთთა, რათა განწმედილნი მათგან, ღირს ვიქმნეთ და ღაღადებით ვადიდებდეთ ყოვლის-მპყრობელსა ძალსა მისსა, მამისა, ძისა და სულისა წმინდისასა. ამინ[14]).

---

[13]) **Грузія и Арменія**, მურავიოვისა, ნაწ. I, გვ. 106.

[14]) მ. საბინინი, **Полное жизн. свят. груз. цер.** ნაწ. I, გვ. 140.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის გარდაცვალების 80 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ფონდ „ქართული ბიბლიოთეკის" ხელშეწყობით ხელმეორედ გამოსცა კირიონ II-ის გასულ საუკუნეში გამოქვეყნებული შემდეგი ნაშრომები

1. წმიდა დავით III აღმაშენებელი, მეფე ქართველთა (1089-1125)
2. ამბავი დავით გარესჯის უდაბნოს საკვირველ-მომქმედის მადლის ქუისა
3. ცხოვრება და მოქალაქეობა ღირსისა მამისა ანტონ მესვეტისა, საკვირველთ-მომქმედისა მარტყოფელისა
4. წმიდა მოწამე აბო ტფილელი

1



2

3



4

© 1988, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „ნეკერი"